

მოსაზრებები სასამართლო რეფორმის სტრატეგიასთან დაკავშირებით (პირველი სამუშაო ჯგუფის თემები)

სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა¹

სასამართლო სისტემაში დღეს არსებული კრიზისისა და საზოგადოების ნდობის დაბალი ხარისხის პირობებში, არსებითად მნიშვნელოვანია მაქსიმალურ კონსენსუსზე დაფუძნებული გრძელვადიანი რეფორმის სტრატეგიის შექმნა.

მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების სწორ იდენტიფიცირებას, სისტემის საფუძვლიან ინსტიტუციურ შეფასებასა და სათანადო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ პროცესში ფართოდ ჩაერთოს სასამართლო კორპუსი და მათ ჰქონდეთ საკუთარი ხედვების ისეთ ფორმატში გაზიარების შესაძლებლობა, რაც ღიაობას, გულწრფელობას და მაღალ მონაწილეობას უზრუნველყოფს.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლო ხელისუფლებისა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა, თუმცა, არსებითად მნიშვნელოვანია კონსტიტუციური პრინციპის რეალიზების პრაქტიკულ მექანიზმებზე ფოკუსირება და იმ ფაქტორების სრულად იდენტიფიცირება, რომლებიც აუცილებელია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, სტრატეგია უნდა მოიცავდეს ყველა არსებით, სისტემურ და ინსტიტუციურ საკითხს და მიზნად ისახავდეს სასამართლო სისტემაში არსებული იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რაც უარყოფითად აისახება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე, ასევე საზოგადოების მხრიდან მის მიმართ ნდობის ხარისხზე.

სასამართლო სისტემაზე ამ დრომდე ჩატარებული კვლევებით² გამოკვეთილია ის ფაქტორები, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს ინსტიტუციურ და ფუნქციურ დამოუკიდებლობას, ასევე

¹ წარმოდგენილი დოკუმენტში განხილულია ის საკითხები, რომლებიც კომიტეტის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ არის ან არასრულყოფილად არის გათვალისწინებული. ასევე ცალკეულ შემთხვევებში წარმოდგენილია გათვალისწინებული საკითხების შეფასება.

² მათ შორის: http://coalition.ge/index.php?article_id=55&clang=0;

http://coalition.ge/index.php?article_id=129&clang=0; <http://bit.ly/2gJb19v>; <http://bit.ly/2gO6xuq>;

<http://bit.ly/2gBH20h>; https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_jswd_georgia.pdf;

<https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgia-should-continue-strengthening-the-independence-and-impartiality-of-judges?inheritRedirect=true&redirect=%2Fen%2Fweb%2Fcommissioner%2Fcountry-report%2Fgeorgia>

ინდივიდუალური მოსამართლის მიუკერძოებლობას და შესაბამისად გავლენას ახდენს მის ასეთად აღქმაზე. მათ შორისაა შემდეგი ფაქტორები:

- მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ხარვეზიანი სისტემა;
- მოსამართლეთა კარიერული წინსვლისა და გადაადგილების ბუნდოვანი რეგულირება;
- საქმეთა განაწილების მანკიერი რეგულირება და პრაქტიკა, რაც მანიპულირებისა და ჩარევის შესაძლებლობას ქმნის;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა;
- სასამართლოს თავმჯდომარეების როლი სასამართლო სისტემაში და მათი დანიშვნის პროცედურა და სხვა;

მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიაში გამოკვეთილი მიზნები და პრიორიტეტები ერთი მხრივ ასახავდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო გამოცდილებას, თუმცა ამავდროულად, სრულყოფილად ითვალისწინებდეს ადგილობრივ კონტექსტსა და სასამართლო სისტემაში არსებულ მწვავე პრობლემებს.

სასამართლო სისტემაში დღეს არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაწილში მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიამ გაითვალისწინოს შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის წესის სისტემური რეფორმა, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის გაუმჯობესება/დახვეწა;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციური რეფორმა და სკოლაში მსმენელთა მიღების პროცედურის გაუმჯობესება;
- მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა;
- ქულებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის დანერგვა, კანდიდატთა შეფასების დასაბუთება და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი;
- მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ერთიანი სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის დღეს მოქმედი სისტემა რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპისგან შედგება. მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისათვის არსებითად მნიშვნელოვანია თითოეული ეტაპის გაუმჯობესებული რეგულირება, რაც უზრუნველყოფს ერთიანი სისტემის ობიექტურობას.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის როლი და ფუნქცია მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ერთიანი სისტემის ნაწილია და მისი რეფორმირების გარეშე ამ პროცესის სისტემური გარდაქმნა

შეუძლებელია. დღეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფუნქციები არაგონივრულად არის მოწესრიგებული. ასევე, ხარვეზიანია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლეს სკოლას შორის ფუნქციების გამიჯვნა. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური სისტემის შესაქმნელად, აუცილებელია რომ ეს პრინციპები დაცული იყოს სასტარტო ეტაპზე, ანუ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელების მიღების პროცესში. სკოლაში მსმენელთა მიღებას დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს, რაც ამ ორგანოსთვის შეუფერებელ ფუნქციას წარმოადგენს. გარდა ამისა, არსებობს საჭიროება თავად მსმენელთა შერჩევის პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე, კრიტერიუმები, შეფასების წესები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა კი ცხადად რეგლამენტირებული.³

არასამთავრობო ორგანიზაციები წლებია აკვირდებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის წესსა და პროცედურებს, პროცესებს მუდმივად ახლავს ხარვეზები. გარდა ამისა, ყველა ეტაპზე პრობლემად რჩება: ა) საკანონდებლო დონეზე კრიტერიუმების არარსებობა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ხარვეზები. ბ) საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა და გ) არასტანდარტიზებული პროცედურა, რაც საბჭოს ლავირების/თვითნებობის საშუალებას აძლევს.

მოსამართლეთა დანიშვნის წესი საჭიროებს დახვეწას იმგვარად, რომ საზოგადოებისთვის იყოს ცხადი, რომ მოსამართლეები ინიშნებიან სწორედ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და ობიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე.⁴ გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს არ მოეთხოვება დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება, მოსამართლეობის კანდიდატები მოკლებული არიან შესაძლებლობას გასაჩივრების გზით დაიცვან მათი უფლებები.⁵

მოსამართლეობის თანამდებობის დაკავების წარუმატებელი კანდიდატის მიერ საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის არსებობა ევროპულ სტანდარტს წარმოადგენს. იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) მიერ მიღებულ 2012 წლის დუბლინის დეკლარაციის 1.10 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ წარუმატებელ კანდიდატს აქვს უფლება იცოდეს თუ რატომ ვერ დაინიშნა გამოცხადებულ ვაკანსიაზე. ამასთან უნდა არსებობდეს, დამოუკიდებელი საჩივრის პროცედურა თუ კანდიდატს მიაჩნია, რომ დანიშვნის პროცესი უსამართლოდ ჩატარდა.⁶

ასევე, არსებითად მნიშვნელოვანია მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სისტემის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა და საზოგადოების მხრიდან პროცესის შეფასების შესაძლებლობა.

³ იხ. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მიერ მომზადებული დოკუმენტი იუსტიციის მსმენელთა მიღების წესის რეფორმის შესახებ.

⁴ იხ. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მიერ მომზადებული დოკუმენტი: „იუსტიციის უმაღლესი საბჭო - მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პრობლემები“.

⁵ იხ. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ კონსტიტუციური სარჩელი.

⁶ http://www.ency.eu/images/stories/pdf/GA/Dublin/enci_dublin_declaration_def_dclaration_de_dublin_recj_def.pdf

საბჭოს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გასააზრებელია საკითხი იმის შესახებ, უნდა გაითვალისწინოს თუ არა საბჭომ და რა ფარგლებში გარეშე პირთა მოსაზრებები თუ მხოლოდ საბჭო უნდა იყოს ინფორმაციის წყაროს შემრჩევი. ინფორმაციის მოძიების ეტაპი არსებითად მნიშვნელოვანია მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები, რომლებიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მათი სისწორის გადამოწმების შემდგომ, როგორც ამას მოქმედი წესი ითვალისწინებს.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების სრულყოფა, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პროცედურული საკითხების საკანონმდებლო დონეზე რეგულირება;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ღიაობა და გამჭვირვალობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებებთან, როგორც არის სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, მართლმსაჯულების ხარისხი და ეფექტიანობა, საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საბჭოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ითვალისწინებს საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საბჭოს წევრთა აცილების საკითხებს, თუმცა, იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებიც გასაჩივრებას უნდა დაექვემდებაროს, ასევე, რომელზეც ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმები უნდა გავრცელდეს, დაკონკრეტებული არ არის.

მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრებას დაექვემდებაროს საბჭოს მიერ მიღებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და საბჭოს საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება საბჭოს საქმიანობაზე (გარდა ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმებისა), შესაბამისად, საბჭოს საქმიანობის პროცედურული საკითხები საკანონმდებლო დონეზე სრულყოფილად არ არის დარეგულირებული. ცალკეული საკითხები გათვალისწინებულია საბჭოს რეგლამენტითა და საბჭოს მიერ მიღებული სხვა აქტებით, თუმცა, მნიშვნელოვანია კანონის დონეზე სათანადო ნორმების არსებობა.

საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურის დადგენა არ უნდა იყოს დამოკიდებული საბჭოზე იმ დოზით, როგორც ეს დღეს არის, რაც მათ შორის, ქმნის ისეთ პრობლემას რაც გულისხმობს საქმის გადაწყვეტის ეტაპზე წესების შეცვლას.

რაც შეეხება აცილების საკითხს, ინტერესთა შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმები უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ მოსამართლეთა შერჩევა-დანაშინების პროცესზე, არამედ საბჭოს

კომპეტენციას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის განხილვის დროსაც. ასევე, პირს, რომელსაც ეხება საბჭოს გადაწყვეტილება ან საბჭოს წევრს უნდა ჰქონდეს აცილების დაყენების უფლება, თუ სახეზეა ინტერესთა შეუთავსებლობა.⁷

სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაში მართლმსაჯულების საბჭოს მნიშვნელოვანი ჩართულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საბჭოს მიერ განხორციელებული მოქმედებების გამჭვირვალობა. გამჭვირვალობა არის ძირითადი ფაქტორი იმ ნდობისა, რომელიც მოქალაქეებს აქვთ სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისადმი და წარმოადგენს გარანტიას პოლიტიკური გავლენის საფრთხის ან მართლმსაჯულების შიგნით პირადი ინტერესის გატარების, პირადი პროტექციისა და ქრონიზმის წინააღმდეგ.⁸

3. მოსამართლეთა გადაადგილებისა და კარიერული სისტემის რეფორმა

მნიშვნელოვანია, მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმები ნათლად გაიწეროს კანონში, როგორც ეს აღნიშნულია ვენეციის კომისიის 2014 წლის დასკვნაში.⁹ ასევე, უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი, როგორც ამას ENCJ სტანდარტი მოითხოვს.

მოსამართლეთა გადაადგილებასა და დაწინაურებასთან დაკავშირებით “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)” მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტში გამოკვეთილია რამდენიმე ძირითადი ხარვეზი:

- საბჭოს გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა, რაც საზოგადოებაში მისი მოქმედების მიზნებთან და მოტივებთან დაკავშირებით კითხვებს აჩენს;
- საკანონმდებლო დონეზე ცალკეული მექანიზმების არასაკმარისი რეგულირება, რაც ტოვებს ფართო დისკრეციას საბჭოსთვის;
- მოსამართლეთა მივლინებისა და მოსამართლეთა უკონკურსოდ გადანიშვნის გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობისა და მიზანშეწონილობის შემოწმების შეუძლებლობა;
- ცალკეულ შემთხვევებში მოსამართლეთა მივლინების კანონთან შეუსაბამობა;
- მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულირება და ამ ნორმის გამოყენების არაჯანსაღი გამოცდილება;
- მოსამართლეთა დაწინაურება სამოსამართლო საქმიანობის შეფასების წესის მიმართ არსებული შეკითხვების პირობებში.¹⁰

⁷ იხ. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მიერ მომზადებული დოკუმენტი საქმეთა განაწილების/ინტერესთა კონფლიქტის/თავმჯდომარის არჩევის წესის შესახებ.

⁸ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N10 (2007) მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში, § 91.

⁹ [http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)031-geo](http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)031-geo)

¹⁰ EMC, მოსამართლეთა გადაადგილების პრაქტიკა სასამართლო სისტემაში. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2015/12/03/mosamartleta-gadaadgileba/>

საბჭოს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ერთ-ერთ საკითხად გათვალისწინებულია მივლინების ინსტიტუტის გამოყენების დაუშვებლობა მოსამართლის დამოუკიდებლობის საზიანოდ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა საჭიროა მოსამართლეთა გადაადგილებისა და კარიერული წინსვლის საკითხები სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი სტრატეგიის დოკუმენტში.

4. მოსამართლესთან არასათანადო კომუნიკაციის სტანდარტების შეფასება და დახვეწა

შესაფასებელია რამდენად ადეკვატურია “საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის შესახებ” კანონით გათვალისწინებული სტანდარტები და რამდენად მოქნილია ამ კანონით განსაზღვრული პროცედურა იმისთვის, რომ მოსამართლე თავს დაცულად გრძნობდეს ყოველგვარი არასათანადო კომუნიკაციისგან. ამ საკითხის ანალიზისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მოსამართლეთა აზრი რა გარანტიების არსებობა მიაჩნიათ მათ საჭიროდ მოსამართლეთა მეტი დაცულობისთვის.

ასევე შესაფასებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბერკეტები, როდესაც საქმე მოსამართლესთან ან/და სასამართლოს მოხელესთან არასათანადო კომუნიკაციას შეეხება. აღნიშნულის ანალიზი მათ შორის უნდა დაეფუძნოს ბოლო პერიოდში გავრცელებული გახმაურებული ფაქტების შეფასებას, როდესაც მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მოსამართლე შესაძლოა ზეწოლის/ან არასათანადო კომუნიკაციის მსხვერპლი ყოფილიყო.

5. სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევისა და კომპეტენციის საკითხი.

სასამართლოს თავმჯდომარეთა სტატუსი, მათი პრაქტიკულად შეუზღუდავი გავლენები და ძალაუფლება სასამართლო სისტემაზე წლების განმავლობაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. შეუზღუდავი უფლებამოსილების პირობებში თავმჯდომარის ინსტიტუტმა მანკიერი სახე მიიღო და ისინი პრივილეგირებულ მოსამართლეებად ჩამოყალიბდნენ. შედეგად თავმჯდომარეები გაუმართლებელი შეღავათებითაც სარგებლობენ. მაგალითად დიდი სასამართლოს თავმჯდომარეების მისამართით ხშირად ისმოდა კრიტიკა, რომ ისინი საქმეებს არ იხილავენ, სარგებლობენ განსაკუთრებული სამუშაო გარემოთი და პირობებით. სასამართლოს თავმჯდომარის შეუზღუდავი უფლებამოსილება საქმეთა განაწილების პროცესშიც ვლინდება, რაც წლებია მწვავე კრიტიკის საგანს წარმოადგენს.¹¹ მსგავსი არაჯანსაღი იერარქიის განვითარება სასამართლოზე კონტროლის მოპოვების ერთ-ერთი ბერკეტი იყო, რაც ფუნდამენტურ გარდაქმნას საჭიროებს.

მიგვაჩნია, რომ სასამართლოს თავმჯდომარეთა ინსტიტუტის გაჯანსაღება მათი არჩევის მოქმედი წესის ცვლილებით უნდა დაიწყოს და ასევე, ნათლად უნდა განისაზღვროს თავმჯდომარეთა

¹¹ იხ. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მიერ მომზადებული დოკუმენტი საქმეთა განაწილების/ინტერესთა კონფლიქტის/თავმჯდომარის არჩევის წესის შესახებ.

კომპეტენცია. თავმჯდომარეთა დანიშვნის ბერკეტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არაგონივრულად ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს, თავად მოსამართლეს კი კიდევ უფრო უძლიერებს არაჯანსაღ სტატუსს და ამბიციას. მიგვაჩნია, რომ სასამართლოს თავმჯდომარეობა პრივილეგიის ნაცვლად, პერიოდულად დამატებითი პასუხისმგებლობა უნდა იყოს მოსამართლეებისთვის, ამდენად სწორედ როტაციის ან/და შემთხვევითი შერჩევით უნდა ხდებოდეს თავმჯდომარეების არჩევა კონკრეტულ სასამართლოებში.

6. მოსამართლეთა სპეციალიზაციის საკითხის რეფორმა.

მოსამართლეთა სპეციალიზაციის საკითხი სასამართლო სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. იმ სასამართლოებში, სადაც არ არის კოლეგიები, სპეციალიზაციის მიხედვით მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, ძირითადად ირღვევა მოსამართლეთა სპეციალიზაცია. გარდა ამისა, კანონის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში), ასევე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სპეციალიზაციის დარღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ცალკეულ სასამართლოებში მოსამართლეთა მცირე რაოდენობაა.¹²

ასევე, გარდა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით სპეციალიზაციისა, სასამართლოში შეიძლება არსებობდეს თემატური ან/და საპროცესო ეტაპების მიხედვით ვიწრო სპეციალიზაციაც. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში თავმჯდომარის ბრძანებით ცალკეულ კოლეგიებში შექმნილია მოსამართლეთა გარკვეული ჯგუფები. ამგვარი ვიწრო სპეციალიზაცია წარმოშობს გარკვეულ კითხვის ნიშნებს, მათ შორის, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების და მიზანშეწონილობის არსებობის შესახებ.¹³

ასევე, პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც სწორედ სპეციალიზაციის დარღვევამ გამოიწვია მოსამართლის პასუხისგებაში მიცემა. მოსამართლე, რომელიც არ ფლობდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციას, განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს, რომელშიც პატიმრობის ვადების დარღვევა დაფიქსირდა. ამის გამო მოსამართლე პასუხისგებაში იქნა მიცემული და დამნაშავედ ცნობილი. ამ საქმეში მოსამართლე ასევე მიუთითებდა მის მიერ განსახილველი საქმეების ჭარბ რაოდენობაზე, რაც მისი მხრიდან კონკრეტულ საქმეზე კონცენტრაციას გამორიცხავდა.¹⁴

¹² იხ. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მიერ მომზადებული დოკუმენტი საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების შესახებ.

¹³ იქვე.

¹⁴ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, გვ. 58.

ნათელია, რომ სპეციალიზაცია შეიძლება გახდეს როგორც ცალკეულ შემთხვევებში საქმეების განაწილებით მანიპულირების საფუძველი, ასევე მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტიც. აღნიშნული ხარვეზებისა და პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია სპეციალიზაციის საკითხის გადახედვა და სათანადო რეგულირება.

7. სოციალური საკითხები

კომიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ერთ-ერთ საკითხად გათვალისწინებულია მაღალი (ბოლო ხელფასთან მიახლოებული) და გარანტირებული პენსია. მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნას მიღებული შემდეგი გარემოებაც: დღეს მოქმედი სისტემა ითვალისწინებს განსხვავებულ წესს ერთი მხრივ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და მეორე მხრივ, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების პენსიების განსაზღვრისას. მიზანშეწონილია, განისაზღვროს სამართლიანი დაანგარიშების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მოსამართლის მიმართ თანაბარ მიდგომას.

8. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

შემოთავაზებული რეგულირების თანახმად, გამოხატვის თავისუფლება იზღუდება სასამართლოს გარეშე ზეგავლენისაგან დასაცავად. მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვა, ბუნებრივია წარმოადგენს ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს, რომლის მისაღწევადაც შეიძლება სახელმწიფომ დაადგინოს გარკვეული სამართლებრივი რეგულირება. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ, კონკრეტულ ასპექტებზე, რომლებიც მოსამართლის დამოუკიდებლობას ემსახურება.

ბუნებრივია, ჩვენ ვიზიარებთ მიდგომას, რომ „აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს ადეკვატური და აუცილებელი დაცვა, როდესაც არსებობს მართლმსაჯულების წარმომადგენლებზე ფიზიკური თავდასხმებისა და მათი დაშინების (დაფრთხობის) საშიშროება“. კერძოდ, მოსამართლე დაცული უნდა იყოს ფიზიკური აგრესიისგან ანდა ამგვარი მუქარისგან. თუმცა, ვერ გავიზიარებთ მიდგომას, რომ მოსამართლის „შეწუხებისა და აღელვების“ პრევენციისთვის გამოხატვის თავისუფლება უნდა ან შესაძლებელია, რომ შეიზღუდოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უხეში ჩარევა (სსკ-ს 364(2)), დამამძიმებელი გარემოებებია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ამ ქმედების ჩადენა, ან ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ასევე, სისხლის სამართლის წესით დასჯადია სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით, მოსამართლის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა (365(1)), აღნიშნული მუხლის თანახმად ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის(3) ან ძალადობით, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან

ჯანმრთელობისათვის (4). სსკ-ის 366-ე მუხლით კი ისჯება სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფით.

გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს პასუხისმგებლობას მოსამართლესთან ისეთი ტიპის კომუნიკაციისთვის, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის განხილვასთან და არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს, (მე-3 (1) მუხლი).

ასევე, სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებულია მოსამართლის უფლება, გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული მექანიზმები, მათ შორის ადმინისტრაციული პატიმრობა, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ან/და მოსამართლის მოთხოვნისადმი დამოურჩილებლობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობის ზემოთ მოყვანილი რეგულაციების ნაწილი შეიცავს ხარვეზებს და საჭიროებს დახვეწას, განსაკუთრებით განჭვრეტადობის კუთხით, შეიძლება ითქვას რომ აუცილებელი მექანიზმები სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დასაცავად დღევანდელი კანონმდებლობით უკვე არსებობს.

სამუშაო ჯგუფში შემოთავაზებული რეგულაცია, სასამართლო პროცესის გარეთ, საქმესთან დაკავშირებით აზრის გამოთქმის შეზღუდვისა და დისკუსიის აკრძალვის შესახებ, ვფიქრობთ, არ შეესაბამება სასამართლოს რეფორმის მიმდინარეობის არსებულ ეტაპს და შეიცავს აშკარა რისკებს, შეიზღუდოს საზოგადოებრივი განხილვები სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

როგორც კოალიციას „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“, ასევე ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს არაერთხელ გამოუთქვამთ წუხილი სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მათ შორის, განსაკუთრებულ შემოთვალისწინებებს იწვევს ის ფაქტები, რომ მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა გაუმჭვირვალედ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიმდინარეობს, არ არსებობს მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების გამართული მექანიზმი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს დახურულ კარს მიღმა იღებს, რომელთა გასაჩივრების მექანიზმიც ასევე ხშირ შემთხვევაში არ არსებობს. გამოწვევად რჩება ისიც, რომ ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა არ არის საკმარისად დაცული სისტემის შიგნიდან მომდინარე ზეწოლებისგან და თანამდებობის პირების მხრიდან არასათანადო ზეგავლებისგან. ასეთ ვითარებაში, დაუშვებლად მიგვაჩნია საზოგადოებრივი დისკუსიის აკრძალვა, მათ შორის, კონკრეტული მაღალი საჯარო ინტერესის საქმეებთან დაკავშირებით და ამით სისტემაში არსებული პრობლემების გამოაშკარავების, და შესაბამისად - გადაწყვეტის შესაძლებლობის შეზღუდვა.

სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დასაცავად, არამართო დასაშვები, არამედ აუცილებელიც გვგონია იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სასამართლოების სპიკერები, მეტად გააქტიურდნენ საზოგადოებასთან და მედიასთან

ურთიერთობის მიმართულებით. მათ შორის, დასაბუთებული პასუხი გაცენ კონკრეტულ საფუძვლიან თუ უსაფუძვლო ბრალდებებს. ასევე, უფრო აქტიურად მოუწოდონ სხვადასხვა პირებსა თუ მედია საშუალებებს თავი შეიკავონ დაუზუსტებელი მონაცემების გავრცელებისაგან. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და სასამართლოებმა ასევე სხვადასხვა სახის პროექტები შეიძლება განახორციელონ მედიის წარმომადგენლებთან და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან სასასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „ზოგადად, სახელმწიფოს არ შეუძლია, შეზღუდოს ინფორმაციის თავისუფლება იმ საფუძვლით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს. ადამიანებს უფლება აქვთ, მიიღონ და გაავრცელონ იდეები და თავად გადაწყვიტონ, რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი. აღნიშნული რაციონალის საფუძველზე დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი გარკვეული აკრძალვების გარდა, პირები, მათ შორის მაუწყებლებიც, უფლებამოსილი არიან, გადასცენ ნებისმიერი ინფორმაცია და ითვლება, რომ ადამიანებს ამ იდეებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; II-7).

მოსამართლის გარეშე ზეგავლენისგან დაცვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ არის ღირებული ლეგიტიმური მიზანი, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გაგებული ზედმეტად ფართო მნიშვნელობით. მოსამართლის გადაწყვეტილების შინაარსზე გავლენას ვერ უნდა ახდენდეს საზოგადოების მოსაზრება. მოსამართლეს ვერ ექნება მოლოდინი, რომ მისი გადაწყვეტილება არ გახდება კრიტიკის საგანი. ამდენად, მოსამართლეს ისევე როგორც, ნებისმიერ საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს უნარი საზოგადოებრივი ემოციები არ გახდეს გადაწყვეტილების ნაწილი. ამდენად, დაშვება იმისა, ტელეეთერში გასული კრიტიკული სიუჟეტები, თუ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მოსაზრებები გავლენას ახდენს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარზე, გულისხმობს რომ ამგვარი მოსამართლე დაკავებული თანამდებობისთვის შეუფერებელია. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის „შეწუხება და აღელვება“ დაუსაბუთებელ კრიტიკაზე მეტად, სწორედ სამართლებრივად გამართულმა და კრიტიკულმა მოსაზრებებმა შეიძლება გამოიწვიოს. აქედან, გამოდინარე, მიგვაჩნია, რომ გარანტიები რომლებიც მოსამართლეს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით აქვს მინიჭებული (მაგ. იმუნიტეტი, აკრძალული კომუნიკაცია და ა.შ) არის საკმარისი. მოსამართლეს უნდა შეეძლოს პიროვნული განცდებისგან დისტანცირება და ამგვარი განცდების პრევენცია არ უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლების შემზღვეველი.

8.1. შემოთავაზებული რეგულირების კონკრეტული ასპექტები

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთერთი უმთავრესი საფუძველი, ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებაა. ამგვარი განცხადებები, შეიძლება მიემართებოდეს მოსამართლის პიროვნებას, მაგრამ ეს დაცულია პირადი ცხოვრების, პატივისა და ღირსების უფლებით, და შემხებლობა არ გააჩნია მოსამართლის დამოუკიდებლობის ინსტიტუციურ თუ პერსონალურ გარანტიებთან. ვინაიდან შემოთავაზებული წინადადებები მიემართება სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით გამოთქმულ პოზიციებს, ჩვენ მხოლოდ ამ ნაწილზე გავამახვილებთ ყურადღებას.

განხილვაში მყოფი საქმეები

შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, იზღუდება სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეზე მსჯელობა. უფრო მეტიც, ფაქტობრივად, იკრძალება ამგვარ საქმეზე ან მის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსაზრების საჯარო გამოთქმა. დოკუმენტი შეიცავს მითითებას მედიისთვის გარკვეული სტანდარტების დაწესებაზე კონკრეტული საქმის გაშუქებასთან დაკავშირებით.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა გულისხმობს, რომ გამოხატვის გარკვეული ფორმების შეზღუდვას. აღნიშნული უფლებისთვის უცხოა, აზრის გამოთქმის აკრძალვა რაიმე საკითხზე. მათ შორის, სასამართლოში მიმდინარე საქმეზე. ამდენად, ჩვენთვის მიუღებელია იმგვარი რეგულირება, რომელიც იმპერატიულად აკრძალავს გამოხატვის თავისუფლების, რომლებიც უფლებრივ ასპექტს.

ამასთან, გასათვალისწინებელი სამართლებრივი შეფასებების, ინტერპრეტაციის ობიექტური კრიტერიუმებით შეფასება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხზე, გვაროვნული ნიშნით იდენტიფიცირებული სამართლებრივი მოსაზრებების გამოთქმის აკრძალვა, შესაძლოა არამხოლოდ შეუთავსებელი იყოს გამოხატვის თავისუფლების მატერიალურ ბუნებასთან არამედ ვერ დააკმაყოფილოს კანონის ხარისხობრივი მოთხოვნები და უფლების რეალიზებაზე იქონიოს მსუსხავი ეფექტი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი ბუნდოვანი ნორმების გამოყენება, საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციურად მოხდეს მაგრამ ეს ვერ იქნება ამ ნორმის კონსტიტუციურობის საფუძველი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ სადავო ნორმის საფუძველზე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონსტიტუციის შესაბამისად მოხდეს. თუმცა ეს არ არის საკმარისი სადავო ნორმის კონსტიტუციურად მიჩნევისათვის. როგორც აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლების სფეროში პასუხისმგებლობის დაწესებისას, იგი აუცილებლად უნდა პასუხობდეს განსაზღვრულობის ისეთ სტანდარტს, რომელიც გამორიცხავს „მსუსხავ ეფექტს“ პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი რეგულირების გარეთ მოქცეული გამოხატვის თავისუფლების მიმართ.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542

გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-26)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Morice v. France* განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება მაღალი სტანდარტით უნდა იქნეს დაცული იმ შემთხვევაში, როცა განცხადებები ეხება თემებს, რომლებზეც მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს. განსახილველ შემთხვევაში ასეთად მიიჩნეულ იქნა სასამართლო ხელისუფლების გამართული ფუნქციონირება, თუნდაც საქმე ეხებოდეს მიმდინარე სასამართლო დავას.

ევროპულმა სასამართლომ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოს გამართული ფუნქციონირებაზე თავისთავად არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში იგი უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს. ამასთან, სასამართლო, როგორც სამართლიანობის დაცვის გარანტორი უნდა სარგებლობდეს საზოგადოების მხრიდან ნდობით, რათა სრულყოფილად განახორციელოს თავისი ფუნქციები. აქედან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში, აუცილებელია სასამართლო დაცული იქნეს მძიმე, დაუსაბუთებელი შეტევებისგან, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ ნდობას. მითუმეტეს, რომ მოსამართლეს, რომელიც ექცევა კრიტიკის ქვეშ, თავისი პროფესიული მოვალეობებიდან გამომდინარე არ შეუძლია პასუხი გასცეს ამგვარ ბრალდებებს. ამავე დროს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ არ ჩავთვლით აშკარად დაუსაბუთებელ შეტევებს სასამართლოზე, მოსამართლე შეიძლება დაექვემდებაროს პერსონალურ კრიტიკას.

აღნიშნულ საქმეში ადვოკატების მიერ გაცხადებულ იქნა, რომ კონკრეტული საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ სრულად დარღვეული იყო მიუკერძოებლობის და სამართლიანობის პრინციპი, შესაბამისად გამოძიებული უნდა ყოფილიყო პროცესის დროს მოსამართლეების მიერ ჩადენილი დარღვევები. ადვოკატებს, აღნიშნული განცხადებების გამო, ფრანგული სასამართლოს მიერ, დაეკისრათ ჯარიმა ცილისწამებისთვის.

ევროპულმა სასამართლომ შეაფასა კონკრეტული საქმის გარემოებები და მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არღვევდა ევროპულ კონვენციას. სასამართლომ განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიმართ გამოთქმული შენიშვნები იყო მკაცრად კრიტიკული, ამგვარი შეფასებები დაშვებული უნდა იყოს, როცა ამის საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები არსებობს. კონსტრუქციული კრიტიკა არათუ საზიანო, არამედ სასარგებლოა სასამართლოს სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.

თემასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა 2015 წელს ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ კიდევ ერთ გადაწყვეტილება, საქმეზე *Marian Maciejewski v Poland*, ფაქტობრივი გარემოებები შეეხებოდა მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლების წინააღმდეგ ჟურნალისტის კრიტიკულ სტატიას, სათაურით „ქურდები მართლმსაჯულების სისტემაში“. ამ კონტექსტში, სტატიაში ავტორი უთითებდა, რომ სახეზე იყო „მაფიის მსგავსი მოსამართლე-პროკურორების ასოციაცია“. ცილისწამებისთვის ჟურნალისტს შიდა კანონმდებლობით დაეკისრა ჯარიმა. ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს მიერ კი ამ საქმეზე დადგენილ იქნა პოლონეთის სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა.

გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა, რომ ევროპული სასამართლო მკაცრი ტესტით შეამოწმებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას იმ შემთხვევებში, როცა სანქცია ხელს უშლის მედიას გააშუქოს დებატები, რომელზეც საჯარო ინტერესი არსებობს. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მედია არის ერთ-ერთი შესაძლებლობა, იმისთვის რათა საზოგადოების მხრიდან გადამოწმდეს თუ რამდენად კეთილსინდისიერად ახორციელებენ მოსამართლეები კანონით დადგენილ მათ უმნიშვნელოვანეს უფლებამოსილებებს. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები არის საკითხი, რომელზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, შესაბამისად ლეგიტიმურია, რომ ამ საკითხების განხილვა ჟურნალისტების და სხვა პირების მიერ ხდებოდეს საჯარო დებატებში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტის მიერ გაკეთებული ფრაზები ჩანდა მკაცრი და მწვავე, ამგვარი გაზვიადებული ან თუნდაც მაპროვოცირებელი განცხადებები საჯარო დებატებში დასაშვებია და დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით.

აქედან გამომდინარე, დემოკრატიული სახელმწიფოში, რომლის არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას სახელმწიფო ორგანოების ანგარიშვალდებულება წარმოადგენს, მიუღებელია საზოგადოებრივი ინტერესის საგანთან, მათ შორის სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებით ღია განხილვების შეზღუდვა. გამოხატვის თავისუფლება უნივერსალური ღირებულების ძირითად უფლებასა და დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვნად ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. იგი ყოველი მოქალაქის განვითარებისა და ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების სერიოზული ფაქტორია.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცული არ არის მხოლოდ ისეთი უკიდურესი შემთხვევები, როგორც არის: 1) იმგვარი გამოხატვა, რომლის ერთადერთ მიზანს სასამართლოს ან სასამართლოს წევრების შეურაცხყოფა წარმოადგენს; 2. არსებითად დაუსაბუთებელი შეტევა მოსამართლეების მიმართ. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც სასამართლოს მიმართ ბრალდებები არის უკიდურესად ფართო და არ ეფუძნება საკმარის ფაქტობრივ გარემოებებს, რაც ლახავს სასამართლოს რეპუტაციას და ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას. სასამართლოს პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვის სახელით, არ შეიძლება შეიზღუდოს მართლმსაჯულების სისტემის საჯარო კრიტიკა, რომელსაც კონკრეტული და მნიშვნელოვანი ღირებულება, შინაარსი და დატვირთვა გააჩნია.

დამოუკიდებლობა არა სასამართლოს პრივილეგია, არამედ მის მიმართ არსებული მოლოდინი და მისივე ვალდებულებაა. სასამართლოს საჯარო კრიტიკა სასამართლო დამოუკიდებლობისათვის არათუ საფრთხეს არ წარმოადგენს, არამედ მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში. ამგვარი კრიტიკა ერთგვარი მოწოდებაა მოსამართლეების მიმართ, რათა დარჩნენ თავიანთი პროფესიის ერთგული და თავიდან აიცილონ მიკერძოება და საზოგადოებრივი აზრის გავლენა საქმის განხილვის დროს. შესაბამისად, ხელისუფლების სხვა

შტოების მსგავსად, სასამართლო ორგანოები თავად იღებენ სარგებელს აზრის ჯანსაღი მიმოცვლის შედეგად.

სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც, პირველ რიგში, სწორედ სასამართლო უნდა წარმოადგენდეს გამოხატვის თავისუფლების დაცვის უმთავრეს გარანტს, არ შეიძლება ის მოწოდებული იყოს შეზღუდოს მართლმსაჯულების სისტემის კრიტიკა, მნიშვნელოვანი მოვლენების საჯარო განხილვა და შეფასება, საზოგადოებრივი ინტერესის საგანთან დაკავშირებული ღია მსჯელობა. ამგვარი შეზღუდვა საფრთხეს უქმნის თავისუფალი საზოგადოების არსებობას და იწვევს სასამართლოს თვითიზოლაციას.

8.2. მოსამართლეზე „ზეგავლენის მოხდენის“ სამართლებრივი შედეგები და პრევენციული ზომები

შემოთავაზებული რედაქციით, გამოხატვის თავისუფლების იმგვარი ფორმით რეალიზებისთვის, რომელიც “საფრთხეს უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლობას”. შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მათ შორის, სისხლის სამართლებრივი სანქცია, ჯარიმა, ხოლო გამოსაქვეყნებელი მასალა შეიძლება დაექვემდებაროს კონფისკაციას.

სანქციის მსუსხავი ეფექტი

აღსანიშნავია, რომ კანონის ხარისხობრივი მოთხოვნების პარალელურად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებთან ერთად (განჭვრეტადობა, განსაზღვრულობა) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დაწესებული სანქციის რისკებზე. „გამოხატვის თავისუფლების რეგულირებისას კანონმდებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმის გავლენა პირის უფლებაზე. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცული უფლება „მსუსხავ ეფექტს“ განიცდის, თუ პირი, მოსალოდნელი სანქციის შიშით, იძულებულია თავი შეიკავოს უფლების სრულყოფილად განხორციელებისაგან და თვითშეზღუდვა აისახება გამოხატვის თავისუფლების ნორმატიულად შეუზღუდავ ნაწილზე. „მსუსხავი ეფექტის“ გავლენით ნორმის ზემოქმედება გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე შესაძლებელია გასცდეს მისი რეგულირების სფეროს და ფაქტობრივად შეზღუდოს ის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც კანონმდებლის მიზანს არც კი წარმოადგენდა. გამოხატვის თავისუფლების სფეროს ამგვარად რეგულირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოების გაუმართლებელი ჩაკეტვა, მისი მოქმედების თავისუფლების თვითშეზღუდვა, აიძულოს ადამიანები, მოახდინონ თვითცენზურა გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს იმ ნაწილში, რომლის შეზღუდვის აუცილებლობაც არ არსებობს, რაც, თავისთავად, ამ უფლების არათანაზომიერად შეზღუდვის ტოლფასია. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე

„საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-8)

„თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დაწესება ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით შესაბამისობაში შეიძლება იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, მაგალითისთვის სიძულვილის ენა და ძალადობისკენ მოწოდება. Fatullayev, cited above, §100-103. ამავე პარაგრაფებში სასამართლო მიუთითებს ევროპის საბჭოს მოწოდებაზე წევრი სახელმწიფოების მიმართ და აღნიშნავს, რომ ცილისწამების დასჯადობა (prison sentence) შეიძლება გამოიწვიოს მსუსხავი ეფექტი გამოხატვის თავისუფლებაზე.

განცხადებების გამოქვეყნების აკრძალვა და გადადება

გაურკვეველი როგორ უნდა აღმოაჩინოს რელევანტურმა ორგანომ, თუ რომელი მედია საშუალება, ფიზიკური პირი თუ შეზღუდვას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტი რის თაობაზე აპირებს განცხადების გავრცელებას, არსებობს თუ არა სტატიის განცხადები პროექტი და ა.შ. ანდა რა შინაარსი აქვს მას. აღნიშნულის გამორკვევა ფაქტობრივად წარმოუდგენელი (ფარული) საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, მედიისა თუ შესაბამისი პირის კომპიუტერულ სისტემაში შეღწევის ან შესაბამის დაწესებულებაში ფიზიკური შესვლის გარეშე.

სახელმწიფო დაწესებულებებისთვის ამგვარი ფუნქციის მინიჭება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის მედია საშუალების თავისუფალ და დამოუკიდებელ ფუნქციონირებას და, ვფიქრობთ, იქნება საეჭვოდ არსებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალება. ამ თვალსაზრისით ვფიქრობთ რელევანტურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს *Bluf! v. the Netherlands*. აღნიშნულ საქმეში საგამოძიებო მედია საშუალების შენობაში ჩაატარეს ჩხრეკა და ამოიღეს სახელმწიფოს საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი შეეხებოდა ამგვარ სენსიტიურ დოკუმენტს (დაზვერვის სამსახურის კვარტალურ ანგარიშს) სასამართლო ჩხრეკის ჩატარება არაპროპორციულ ღონისძიებად მიიჩნია და მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.